გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირემიწიანი აგრარული ქვეყნებისათვის. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდით სარგებლობისა და განკარგვის ერთიანი სტანდარტის დადგენა და ამ დარგში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება საქართველოს ხელისუფლების ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

საქართველო წარმოადგენს მცირემიწიან სახელმწიფოს, რომლის ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 0.24 ჰა დამუშავების პროცესში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მოდის. აქედან გამომდინარე, ამ დარგში სწორი და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-დემოგრაფიული საკითხების გათვალისწინებით. ამასთან, სახელმწიფოსთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სივრცეს და აგრარული სექტორის განვითარების უალტერნატივო საშუალებას, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის საკითხს.

ამასთან, ინიცირებულია საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც კონსტიტუციაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრასთან ერთად, ითვალისწინებს კონსტიტუციის 21-ე მუხლის, რომელიც ეხება საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებას, ცვლილებას და მისი ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ცვლილების პროექტის თანახმად, კონსტიტუციას ემატება ნორმა, რომელიც მიწას ანიჭებს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რესურსის სტატუსს და მოითხოვს მასზე საკუთრების უფლების მოწესრიგებას ორგანული კანონით. ასევე მითითებულია, რომ აღნიშნული ცვლილება ვერ გახდება მიწაზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრების უფლების აბსოლუტური შეზღუდვის საფუძველი, თუმცა, იგი შესაძლებელს გახდის საკითხის განსაკუთრებულ რეგლამენტაციას მიწის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის საფუძველზე განსაზღვრული შეზღუდვის დაწესებას, ვიდრე ძალაში არ შევა საქართველოს კონსტიტუციური კანონის

პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმად მიწაზე საკუთრების უფლების საკითხი უნდა მოწესრიგდეს შესაბამისი ორგანული კანონით, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საკანონმდებლო ცვლილების მიზანია, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის ძალაში შესვლამდე, შეჩერდეს მოქმედი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიულ პირის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადასვლის საკითხს.

კონსტიტუციური კანონის ცვლილების პროექტის თანახმად, კონსტიტუციას ემატება ნორმა, რომელიც მიწას ანიჭებს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე რესურსის სტატუსს და მოითხოვს მასზე საკუთრების უფლების მოწესრიგებას ორგანული კანონით. ასევე მითითებულია, რომ აღნიშნული ცვლილება ვერ გახდება მიწაზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრების უფლების აბსოლუტური შეზღუდვის საფუძველი, თუმცა, იგი შესაძლებელს გახდის საკითხის განსაკუთრებულ რეგლამენტაციას მიწის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს იმ საფრთხესაც, რაც შეიძლება გარდამავალ ეტაპზე, ვიდრე არ იქნება მიღებული კონსტიტუციის კანონის პროექტი და ორგანული კანონის საფუძველზე ახლებურად არ განისაზღვრება მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების სამართლებრივი საფუძვლები, სათანადო რეგულაციის არარსებობით იქნეს გამოწვეული. აქედან გამომდინარე განისაზღვრება, რომ ვიდრე ძალაში არ შევა საქართველოს კონსტიტუციის კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელიც ახლებურად, საკუთრების უფლების უფრო მაღალი სტანდარტის დაცვას უზრუნველყოფს, შეჩერდეს კანონის ნორმის მოქმედება.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. შესაბამისად, ლეგიტიმური საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია როგორც სარგებლობის უფლების, ისე თავისუფალი განკარგვის უფლების გარკვეული ვადითა და პირობებით შეზღუდვა.

კანონპროექტის თანახმად, შესაბამისი ნორმის მოქმედების შეზღუდვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლა, ხოლო შეზღუდვის პირობა დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდით სარგებლობისა და განკარგვის ერთიანი, უფრო მაღალი სტანდარტის დადგენასა და ქვეყნის სუვერენიტეტის, ეკონომიკური უსაფრთხოების, სახელმწიფო ინტერესებისა და კულტურული და

ისტორიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებასთან.

სწორედ, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა, რომელიც გულისხმობს იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რაც შეიძლება გარდამავალ ეტაპზე სათანადო რეგულაციის არარსებობით იქნეს გამოწვეული, იძლევა ზემოაღნიშნული ნორმის მოქმედების ვადის შეჩერებისა და შესაბამისი პირობის დადგენის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლეგიტიმაციას.

ამასთან, გასათვალისწინებელი გარემოებაა, რომ აღნიშნული ნორმის შეჩერების პარალელურად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებისას, უნარჩუნდებათ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით იჯარის სახით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის პირველი მუხლის შესაბამისად, კანონის 22-ე მუხლს ემატება მე-3[3] პუნქტი, რომლის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედებამდე, ჩერდება მოქმედი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედების ვადა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიულ პირის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადასვლას.

კანონპროექტის მე-2 მუხლი განსაზღვრავს წარმოდგენილი ცვლილების ძალაში შესვლის ვადას, რომლის თანახმად, ეს კანონი უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების

აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, ოთარ დანელია, ალექსანდრე ერქვანია, გიორგი ვოლსკი, გიორგი გაჩეჩილაძე, გრიგოლ ლილუაშვილი, მარიამ ჯაში, არჩილ თალაკვაძე, ზაზა გაბუნია, კახაბერ ოქრიაშვილი, ისკო დასენი, თეიმურაზ კოხრეიძე, რევაზ არველაძე, გიორგი ბეგაძე, ირაკლი აბუსერიძე, დავით ჭიჭინაძე, გია ჟორჟოლიანი, გიორგი კოპაძე, სიმონ ნოზაძე, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ზოიძე, გელა სამხარაული, ზვიად კვაჭანტირაძე, ზაზა ხუციშვილი, გოჩა ენუქიძე, პაატა მხეიძე, ირაკლი ბერაია, შოთა

ხაბარელი, ბექა ნაცვლიშვილი, სოფიო კილაძე, გოგა გულორდავა, მერაბ ქვარაია, რატი იონათამიშვილი, ირაკლი სესიაშვილი, ბექა ოდიშარია, გიორგი მოსიძე, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რომან კაკულია, ირაკლი ბერაია.

3) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, ოთარ დანელია, ალექსანდრე ერქვანია, გიორგი ვოლსკი, გიორგი გაჩეჩილაძე, გრიგოლ ლილუაშვილი, მარიამ ჯაში, არჩილ თალაკვაძე, ზაზა გაბუნია, კახაბერ ოქრიაშვილი, ისკო დასენი, თეიმურაზ კოხრეიძე, რევაზ არველაძე, გიორგი ბეგაძე, ირაკლი აბუსერიძე, დავით ჭიჭინაძე, გია ჟორჟოლიანი, გიორგი კოპაძე, სიმონ ნოზაძე, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ზოიძე, გელა სამხარაული, ზვიად კვაჭანტირაძე, ზაზა ხუციშვილი, გოჩა ენუქიძე, პაატა მხეიძე, ირაკლი ბერაია, შოთა ხაბარელი, ბექა ნაცვლიშვილი, სოფიო კილაძე, გოგა გულორდავა, მერაბ ქვარაია, რატი იონათამიშვილი, ირაკლი სესიაშვილი, ბექა ოდიშარია, გიორგი მოსიძე, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რომან კაკულია, ირაკლი ბერაია.